ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4499999

ნომერი: AR1676780

თარიღი : 22.04.2019

გაცემის თარიღი : 15.05.2019

გაცნობის თარიღი : 16.05.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოგდან ხმელნიცკი , N 8-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV ჩიხი N2; ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV ჩიხი N4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ღვინიაშვილი პ/ნ 13001004837
- გურჯაანი. ჩალაუბანი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 28 იანვრის №4351675 ბრძანებაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 22 აპრილს NAR1676780 განცხადებით მომართა ზაზა ღვინიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 28 იანვრის №4351675 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 28 იანვრის №4351675 ბრძანებით ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა N8-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV ჩიხი N2; ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV ჩიხი N4-ში, N01.17.11.026.125 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის (ფუნქცია/დანიშნულება: სასტუმრო, საოფისე) მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2019 წლის 28 იანვრის №4351675 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და ფუნქცია/დანიშნულებად „სასტუმრო, საოფისე“-ს ნაცვლად „კომერციული, საცხოვრებელი“-ს დაფიქსირებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57–ე დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამშენებლო დოკუმენტის იმგვარი ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს შეთანხმებულ ობიექტზე ახალი სართულ(ებ)ის დაშენებას, ობიექტის განაშენიანების ფართობის ცვლილებას 20%-ზე მეტად ან ამ ობიექტის ფუნქციის ცვლილებას, აკრძალულია. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურა დაწყებული უნდა იქნეს თავიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია საპროექტო ობიექტის ფუნქცია/დანიშნულების ცვლილება, სამსახური მოკლებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის აღების პროცედურა დაწყებული უნდა იქნეს თავიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.